პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 120 (20461) — ხუთშაბათი, 25 მაისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 25 მაისს მოსკოვში მუშაობას იწყებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების პირველი ყრილობა!

ცხოვრებისა და მოქმედების საჭესთან

დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა, რომელიც აირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ქვეყნის მართვა-გამგეობის უზენაესი ორგანოს ხელმძღვანელობას. გაიმართება უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. ეს არის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და პასუხს გაგცემს იმ მთავარ კითხვაზე, თუ როგორ ხორციელდება ცხოვრებაში რეალურად ლოზუნგი — მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

ყრილობას, ბუნებრივია, წინ უძღოდა სახალხო დეპუტატების არჩევნები. ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში, როგორც ცნობილია, არჩევნები ჩატარდა 26 მარტს, მანამდე არჩეული იქნა სახალხო დეპუტატები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მაგრამ მიმდინარე არჩევნების თავისებურებათა გამო, რაც გამოიხატა კანდიდატურების წამოყენების, მათი რეგისტრაციისა და, რაც მთავარია, საბოლოო კენჭისყრის დროს ფართო დემოკრატიულობითა და აზრთა ბუნებრივი სხვადასხვაობით, კანდიდატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა და ამიტომაც ათობით საარჩევნო ოლქში მოუწყო ხელახალი ხმის მიცემა ან ხელახალი არჩევნები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ხელახლა აირჩიეს 18 დეპუტატი. ყოველივე ეს უკვე თავისთავად მოწმობს არჩევნების შედეგებით მოსახლეობის დაინტერესებას და სავსებით უჩვეულოდ გამოიყურება წინა პრაქტიკასთან შედარებით.

მშრომელები დიდ იმედებს ამყარებენ თავიანთ რჩეულებზე, სწორედ მათს მოღვაწეობას უკავშირებენ თავიანთი ყველაზე საარსებო და სანუკვარი მიზნებისა და სურვილების განხორციელებას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა-თანამშრომელმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დავით ჯობაძემ მოსკოვიდან მოგვწერა: გთხოვთ, ნება მიბოძოთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ქართული სიტყვით მხურვალედ მივულოცო საქართველოს ახალარჩეულ სახალხო დეპუტატების მთელ კორპუსს თანამედროვე არაკონიუნქტიურ პირობებში მათ მიმართ სახალხო ნდობის გამოცხადებისათვის. პატივცემულო სახალხო დეპუტატებო, საკავშირო პარლამენტის წევრებო! ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში არასდროს წინათ ათ დეპუტატის სახელი არ უკავშირდებოდა ადამიანური მოქმედების ყველა სფეროში ისეთ დიდ იმედებს, როგორც ახლა. დღეს სახალხო დეპუტატობა მეტად საპატიოა, მაგრამ ზედმიწევნით საძნელოც. ჩანს, ჩვენი ახალი პარლამენტი სახელმწიფოს ლოკომოტივი იქნება, თითოეული თქვენგანი კი მისი ერთ-ერთი მესაჭე. როგორც მესაჭეებს კი მოგეთხოვებათ სათავეში ჩაუდგეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმავლობას, კულტურულ აყვავებასა და ზნეობრივ ჯანმრთელობას, ეშმაკრიტად ქართულის, ყოველივე საღი ეროვნულის, ეს იგი საკაცობრიოს განვითარება-განვითარებას, ისტორიის, როგორც ჩვენი ხალხის სოციალური მეხსიერებისა და მისი სინდისის ობიექტურ შეფასებასა და პოპულარიზაციას. თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ ერთხელ კიდევ შეახსენა მთელ მსოფლიოს, რომ რეაქციული ძალები კვლავ მოქმედებენ გარდაქმნის საქმის საზიანოდ. ამიტომაც გისურვებთ, რომ საპარლამენტო მოღვაწეობაში თქვენი ზნეობრივი თანამგზავრი იყოს ეშმარიტებისა და სამართლიანობის ადამიანური თვითშემეცნების ზეცხოველური დაუძლეველი ძალა ჩვენი გამოღვიძებული ხალხის საზოგადოებრივი ნება-სურვილის აღსასრულებად, საკაცობრიო პუმანური მიზნების განსახორციელებლად. ბუნებამ და ხალხმა დაგლოცოთ.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ჩვენი მოსკოველი თანამემამულის ამ გულწრფელ სიტყვებს. დიახ, ხალხს იმედი აქვს, რომ დემოკრატიული წესით არჩეული დეპუტატები თავიანთ ძირითად მიზნად დაისახავენ მოსწორებული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გადაჭრას, გულთან ახლოს მიიტანენ ადამიანების სატკივარს, საჭირო შემთხვევაში არ მოერიდებიან მწვავე დავა-შეჯახებასა და პირად რისკსაც კი, როცა საქმე ეხება ბიუროკრატიული ზღუდეების დაძლევას, სამართლიანობის დაცვას, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას. შორს რომ არ წავიდეთ, მოვლენებისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება უკვე გვიჩვენეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა, საქვეყნოდ ცნობილმა ადამიანებმა ანდრია სახაროვმა, თამაზ გამსურდიძემ, ბორის ვასილიევმა, იგორ იაკოვლევმა, ელდარ შენგელაიამ და სხვებმა, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მათ, რომლებმაც უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამომწვევ გარემოებათა დადგენაში, საზოგადოებრივი აზრის სწორად ჩამოყალიბებაში, ადამიანური ღირსებისა და ეროვნული ინტერესების ეშმაკრიტად დაცვაში. ამას დაემატა ისიც, რომ ოფიციალურად გამოაცხადა პირები, აგიტატორები უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით აწარმოებდნენ კანდიდატების სახარგებლო აგიტაციას მაშინ, როდესაც თვითმოქმედი საინიციატივო ჯგუფები, რომლებმაც მიზნად დაისახეს კენჭის საყურადღებოდ წარმოდგენილი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების „გაშავება“, სამუშაოზე ცხადდებოდნენ დილის 9 საათზე და საღამოს 10 საათამდე თავაზიანლივ საქმიანობდნენ, აღვივებდნენ ვნებებს, ზოგჯერ არ ერიდებოდნენ დეზინფორმაციასა და საარჩევნო წესების დარღვევასაც კი. ამ უკანასკნელის გამართლება, ბუნებრივია, არ შეიძლება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თვითმოქმედმა ჯგუფებმა კარგად გამოიყენეს ქალაქსა და ოლქში შექმნილი ვითარება და ამომრჩეველთა უმრავლესობა ხელმძღვანელ მუშაკთა წინააღმდეგ განაწყვეს. ამ გაკვეთილის მთავარი დასკვნა ისაა, რომ აუცილებელია დავძლიოთ პარტიული კომიტეტების, ხელმძღვანელი მუშაკების მოწყვეტა მასებისაგან, რეალურად დავიჩქაროთ გარდაქმნა, საზოგადოებრივი პროგრესი.

ის, რაც რელიეფურად გამოიკვეთა ლენინგრადში, მეტ-ნაკლებად გამოვლინდა ჩვენშიც. ეს ეხება როგორც დეპუტატების არჩევისას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებას და ამის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას, რაც თავისთავად მისახალმებელია და საჯაროობის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს, ასევე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარვეზებს, პროცესების ერთგვარ უმართაობას, რომელთა დაძლევა და საქმიანობის ფორმების ახალი შინაარსით შევსება, ამომრჩეველთა საყოველთაო ნდობის მოპოვება გადაუდებელი საამომავლო ამოცანაა. ამას გვკარნახობს ფაქტები. მართალია, ჩვენში საქმე არ მისულა ხელმძღვანელი მუშაკების „გაშავებამდე“, მაგრამ ბევრმა ბლომად მიიღო უარყოფითი ხმა. ვფიქრობთ, მათი პრესტიჟის გადარჩენას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საარჩევნო ოლქების უმრავლესობაში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრიდა კენჭს, ამ დროს კი, ბუნებრივია, არჩევანი შინიმალურად არის შეზღუდული.

მზარდი საჯაროობის ვითარებაში მოგვეთხოვება მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძირფესვიანი შეცვლა, ხელოვნური შეზღუდულობისაგან განთავისუფლება, საქმის არსში წვდომის კვალობაზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება. არჩევნებისათვის მზადებისა და მისი მიმდინარეობის მთელმა პროცესმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ მხრივაც გადადგეს გარკვეული ნაბიჯები. წინა წლებისაგან განსხვავებით, როცა დადებითად ფასდებოდა სრული მორჩილება და უბად აღებული ციფრი 99,99 პროცენტი, როცა ყველაფერი წინასწარ დაწერილი სცენარით მიმართებოდა და მყუდროების დამრღვევს ვერსად შეხვდებოდით, ვფიქრობთ, ამჯერად საუკეთესო შეფასებას იმსახურებს იმ რაიონებსა და ქალაქებში გაწეული მუშაობა, სადაც საარჩევნო ღონისძიებებს თან ახლდა ვითარების ღრმა ანალიზი, გაცხოველებული კამათი და ჯანსაღი ვნებათა ღელვა, საზოგადოებრივი ძალების გამოფიზლება. თუმცა ისიც ნათელი გახდა, რომ წარსულის ინერცია ძალზე გამძლეა და ხელის ერთი დაკვრით არ ხერხდება ყოველივე იმის თავიდან მოშორება, რაც წლების მანძილზე გულმოდგინედ ინერგებოდა. კერძოდ, ეს ეხება ქალაქდების ტყვეობაში ყოფნას, ზემოდან კარნახის ლოდინს, გაუბედაობას. მაგალითად, მეტისმეტი ორგანიზებულობის, საქმისადმი ფორმალური მიდგომისა და შეუთანხმებელი მოქმედების შედეგი იყო ის, რაც „გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას შეატყობინა მკითხველმა შ. ბაკურაძემ და რაც იმით გამოიხატა, რომ პარტიის ბოლნისის რაიკომის განკარგულებით გააუქმეს რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ მთელი ტირაჟი იმ საბაბით, რომ მასალას დეპუტატობის კანდიდატების დასახელების შესახებ გაზეთი ვადაზე ადრე აქვეყნებდაო. ბევრი სხვა ფაქტიც მოწმობს, რომ წვრილმანებისადმი გამოდევნებამ შექმნა მოჩვენებითი აქტიურობის ვითარება, უარყოფითად იმოქმედა გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის იდეების რეალურ ხორცშესხმაზე.

როცა კრიტიკულ შეერას ვაპყრობთ არჩევნების მიმდინარეობის ცალკეულ მხარეებსა და დეტალებს, უეურადღებოდ ვერ დავტოვებთ საზოგადოებრივ აზრს, კერძოდ, ერთგვარი უმმარსოობის გრძნობას, რაც დაკავშირებულია წამოყენებული კანდიდატურების ზედმეტ გაცხრილვასთან და ალტერნატიურობის ხელოვნურ შემცირებასთან. მაგალითად, ასახელებენ რეგისტრაციის წინ თბილისის №163 ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოლაქოა საარჩევნო კრებებს არ უნდა ჰქონდეთ წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციაში გაუტარებლობის უფლება: ეს ზღუდავს დემოკრატიზმს, ადამიანთა ერთი ჯგუფის (წარმომადგენლების) კომპეტენციად აცხადებს იმას, რაც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით თვითონ ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტონო. ამაზე მართლაც ღირს დაფიქრება, რადგან დემოკრატიული არჩევნები წარმოდგენილია ზემოაღნიშნული კომპონენტების გარეშე. საოლქო საარჩევნო კრებაზე მართლაც შეიძლება გადაწყდეს ამა თუ იმ კანდიდატურის რეგისტრაციაში გატარების ან გაუტარებლობის საკითხი, როცა საქმე გვაქვს თვითაცილებასთან ან წარმომადგენელთა საყოველთაო აზრთან, მაგრამ ხადავო სიტუაციაში ყოველთვის ჭობს მეტი ალტერნატიურობის დაშვება, საბოლოო სიტყვის ამომრჩეველებისათვის მინდობა. მით უფრო მიუღებელია საარჩევნო კრების ისეთი ყაიდით წარმართვა, რომელიც მიზნად ისახავს ეგრეთ წოდებული მოუხერხებელი კანდიდატურების განთავსებას. დეპუტატი მოწოდებულია აკეთოს სახალხო საქმე და ამიტომაც იგი ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი ნება-სურვილით.

დღეს გვჭირდება თავისუფლება დიდი საზოგადოებრივი გაგებით, რაც წარმოუდგენელია თითოეული ადამიანის თავისუფლების გარეშე. არადა, სხვადასხვა სფეროში დახაჭმეულ ადამიანს ჯერ კიდევ ზღუდავს მრავალი საუწყებო ინსტრუქცია, განკარგულება, გარედან თავსმოხვეული სქემა.

დღეს გვჭირდება დიდი დაფიქრება და ძალისხმევა მომწიფებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის, განსაკუთრებით იმ საკითხების მოგვარებისახვის, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ინტელექტუალურ და ზნეობრივ სრულყოფასთან, ეროვნულ აღორძინებასთან.

წარმატებული მუშაობა ვუსურვოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობას.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიპყრობილია მოსკოვისაკენ, სადაც დღეს მუშაობას იწყებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. ხალხის რჩეულებს რამდენიმე დღეს მოუხდებათ დაძაბული ერთობლივი მუშაობა ქვეყნის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე.

სურათზე: სახალხო დეპუტატთა ჯგუფი საქართველოდან.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

მ. ს. გორბაჩოვს გადასცეს ექვსი სახელმწიფოს დეკლარაცია

23 მაისს კრემლში მ. ს. გორბაჩოვმა შეიღო ელჩები: ინდოეთისა — ტრილოკი ნათ კაული, შვეიცისა — ანდერს ტუნბორგი, არგენტინისა — ფედერიკო ს. ბრავო, მექსიკისა — ხუან ხოსე ბრემერ მარტინო; დროებითი საქმეთა რწმუნებულები: საბერძნეთისა — არისტიდის სანდისი და ტანზანიისა — მაჰმუდ ისა. მათ გადასცეს ცნობილი „ექვსეულის“ ჯგუფში შემავალი თავიანთი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა დეკლარაცია. ამ ჯგუფმა, პლანეტის ოთხი კონტინენტის წარმომადგენელმა, ამას წინათ აღნიშნა თავისი არსებობის ხუთი წლისთავი.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. დიდად ვაფასებ „ექვსეულის“ მორიგ ინიციატივას და ამ დოკუმენტის ძირითად სულისკვეთებას, მის ბევრ დებულებას.

მინდა აღვთქვამ, რომ საბჭოთა კავშირი კეთილად ერთგულობს განიარაღების და, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული განიარაღების იდეას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. ბეიკერთან ამასწინანდელ შეხვედრაზე საფუძვლიანად განვიხილეთ განიარაღების ფართო წრის პრობლემები. მოვრიგდით საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით მოლაპარაკების განახლების შესახებ. თუ იქნება ორივე მხარის კეთილი ნება, დარწმუნებული ვარ, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ პროგრესი შესაძლებელია. შესაძლებელია სტრატეგიული შეტევითი იარაღის 50 პროცენტით შემცირება და ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტაც. პრეზიდენტ ჯ. ბუშს აქ კარგი პოზიცია უქავია. მაგრამ საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებანიც. იმედი გვაქვს, რომ საქმეს წინ წავწევთ უახლოეს ხანს.

ჯ. ბეიკერთან მოლაპარაკების დროს განვაცხადეთ, რომ ჭეშმარიტად ვართ ყოველ მომენტში ბირთვული გამოცდების ორხმრივი მორატორიუმისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო ახალ საბჭოთა ინიციატივას იარაღისათვის ხელჩაჭიდი მასალების წარმოების შეწყვეტის, პერსპექტივაში კი აკრძალვის შესახებ.

მან დაადასტურა საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება „იაროს როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გზით თავდაცვითი საკმარისობის დოქტრინის პრაქტიკული რეალიზაციის ფარგლებში.

გადასცა რა დეკლარაციის ოფიციალური ტექსტი, ტ. ნ. კაულმა ელჩებით წარმოდგენილ სახელმწიფოთა სახელით წარმატება უსურვა სტრატეგიული შეტევითი იარაღის 50 პროცენტით შემცირების შესახებ ხელშეკრულების უსწრაფეს დადებასა და ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, სხვა იარაღის შემცირებისა და მოსპობის გზით შემდგომ წინსვლაში.

გამოეთხოვა რა ელჩებს, მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა მათ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რომლებთანაც სსრ კავშირს უაღრესად მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, გადასცეს საუკეთესო სურვილები. ერთხელ კიდევ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს „ექვსეულის“ ჯგუფის საქმიანობას, რომელიც მსოფლიოს საზოგადოებრიობასა და სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანებაში აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობს.

(საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთა კრება

24 მაისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელ თ ა კრება. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ეს სამუშაო ორგანო შეიქმნა იმ საკითხების წინასწარი განხილვისათვის, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ. კრების შემადგენლობაში წარმომადგენლებმა დასახელეს მოეწყო მოკავშირე რესპუბლიკებში ყრილობის მომზადების პერიოდში შესახამის რესპუბლიკაში მცხოვრები და მომუშავე დეპუტატთა თათბირებზე.

კრებაზე განიხილეს ყრილობის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის საკითხები, წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის შესახებ, იმ მაღალი თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევენ ან ამტკიცებენ ყრილობაზე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწყობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

„კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების პროექტის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შეშუშავებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების პროექტი გამოქვეყნდეს რეპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში სახალხო განხილვისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების პროექტის სახალხო განხილვისას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანოს პროექტში საჭირო შესწორებანი და დამატებანი და წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 25 აგვისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 22 მაისი.

პროექტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ საწარმოო კოოპერატივები (კოლმეურნეობების გარდა), აგრეთვე მათი კავშირები და გაერთიანებანი, შემდგომ „კოოპერატივებად“ წოდებულნი, რომლებიც შემოსავალს იღებენ სამეურნეო საქმიანობიდან, ბიუჯეტში იხდიან საშემოსავლო გადასახადს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ამონაგებიდან და სხვა შემოსულობებიდან — დახარჯული ნედლეულისა და მასალების ღირებულების, სხვა ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის, სატრანსპორტო ხარჯების, საამორტიზაციო ანარიცხების, ძირითადი ფონდების საიჯარო საფასურის თანხების, ბანკის მოკლევადიანი კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტებისა და პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების (გარდა შრომის ანაზღაურების ხარჯებისა), აგრეთვე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების გამოკლებით.

არ იბეგრება შემოსავლის ნაწილი, რომელიც შეაქვთ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდში, საბჭოთა

(დასასრული მე-2 გვ.).

(დასასრული მე-4 გვ.).

პროექტი

წარმოებისა და მოქმედების სფეროებში სსრ კავშირის გაერთიანებული კოოპერატივების კავშირის

ფესდება

1. კავშირის ზოგადი დებულებანი, მიზნები და ამოცანები

1. სსრ კავშირის გაერთიანებული კოოპერატივების კავშირი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც შექმნილია წარმოებისა და მომსახურების სფეროებში მოქმედი კოოპერატივების რესპუბლიკური ტერიტორიული და საკავშირო დარგობრივი კავშირების (გაერთიანებების) წევრობის საფუძველზე.

კავშირი, რომელიც სსრ კავშირის გაერთიანებული კოოპერატივების სრულუფლებიანი წარმომადგენელია, მიზნად ისახავს კოოპერატივების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კავშირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს კოოპერაციული მოძრაობის თანამიმდევრულ განვითარებას, კოოპერაციის გადაქცევას ეკონომიკის სახელმწიფო სექტორთან ორგანულად დაკავშირებულ ფართოდ განშტოებულ სისტემად, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესის გაღრმავებას.

კავშირი თავის საქმიანობას ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციის, „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და ამ წესდების შესაბამისად, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

2. კავშირი თავის საქმიანობას აგებს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

კავშირში ნებაყოფლობით შესვლა და კავშირიდან დაუბრკოლებელი გამოსვლა; თავის წევრების მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებათა სარეკომენდაციო ხასიათი;

კავშირის წევრთა თანასწორუფლებიანობა;

კავშირის არჩევითი ორგანოების შიგნით;

კავშირი არ ეწევა მოგების მიღებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

3. კავშირის ძირითადი ამოცანებია:

უზრუნველყოს კოოპერაციული დემოკრატიის განვითარება, კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვა, გამოცდილების განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ყველაზე სრული გამოყენებისათვის, კოოპერაციული მოძრაობის პროპაგანდა;

ხელი შეუწყოს წარმოების სპეციალიზაციის გაუმჯობესებას, უზრუნველყოს კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაცია, კოოპერაციული კავშირებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, პროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და გასაღების ორგანიზაცია;

შეისწავლოს იმ საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ბაზრის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, რომლის წარმოებასა და გაყიდვაზე სპეციალიზებულ კოოპერატივებ;

უზრუნველყოს კოოპერატივების უფლებათა დაცვა და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევა, წარმოადგენდეს მათს ინტერესებს შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გაუწიოს საჭირო დახმარება კოოპერატივებს წარმოების სრულყოფაში; დანერგოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, გაუწიოს რეკლამა მათს პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას), უზრუნველყოს კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2. კავშირის უფლებები და მოვალეობანი

4. კავშირს უფლება აქვს:

მონაწილეობდეს სსრ კავშირში საქმიანობის კოოპერაციული ფორმის მაკორდინირებელი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში;

შეჰქონდეს წინადადებანი კოოპერატივების საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე;

ახორციელებდეს დადგენილი წესით საერთაშორისო საქმიანობას;

ქმნიდეს სასწავლო, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციებს;

ახორციელებდეს დადგენილი წესით საგამომცემლო საქმიანობას;

გახდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი;

დებდეს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან.

5. კავშირის მოვალეობანია კავშირის წევრთა წარმომადგენლობა და მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

6. კავშირი იურიდიული პირია, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სანგარიშსწორები და სხვა ანგარიშები ბანკების დაწესებულებებში, აგრეთვე ბეჭედი თავისი სახელწოდებით. კავშირი პასუხს აგებს თავისი ვალდებულებების შესაბამისად მთელი თავისი კუთვნილი ქონებით.

7. კავშირი პასუხს არ აგებს თავისი წევრებისა და სახელმწიფოს ვალდებულებათა მიხედვით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს კავშირის ვალდებულებების მიხედვით. კავშირის წევრები პასუხს არ აგებენ კავშირის ვალდებულებების მიხედვით.

3. კავშირის წევრობა, წევრების უფლება-მოვალეობანი

8. კავშირის წევრი შეიძლება იყოს კოოპერატივების რესპუბლიკური ტერიტორიული (გარდა ავტონომიურისა), აგრეთვე საკავშირო დარგობრივი კავშირი (გაერთიანება).

9. კავშირში მიღებას ახორციელებს ყრილობა ან მისი დავალებით კავშირის პრეზიდიუმი განცხადების საფუძველზე შესასველი და საწევრო შენატანების გადახდის შემდეგ.

10. კავშირის წევრი შეიძლება გაირიცხოს კავშირის პრეზიდიუმის ან ყრილობის გადაწყვეტილებით ამ წესდების დარღვევის შემთხვევაში. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მიეცა არსებული ხმების ორ მესამედზე მეტი.

კავშირის წევრად მიღებისა და კავშირიდან გარიცხვის გამო დავა წყდება კავშირის პრეზიდიუმისა და სარეგიონო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე ან ყრილობაზე,

(დასასრული მე-2 გვ.).

წარმომგზისა და მომსახურების სფეროებში სსრ კავშირის გაერთიანებული კოოპერატივების კავშირის

წესდება

(დასასრული)

11. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ისარგებლოს ორგანიზაციული, საინფორმაციო-მეთოდიკური და სხვა, საწესდებო ამოცანებიდან გამომდინარე, კავშირის აპარატის მომსახურებით;

გაეცნოს ინფორმაციას კავშირის აპარატისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;

მონაწილეობა მიიღოს კავშირის ყრილობებსა და სხვა ღონისძიებებში;

შეიტანოს კავშირის მმართველობის ორგანოების განსახილველად წინადადებანი კავშირის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ;

აირჩიოს და დაასახელოს კავშირის მმართველობის ორგანოების დელეგატები და წევრები;

ნებაყოფლობით გავიდეს კავშირიდან.

12. კავშირის წევრი მოვალეა:

იცავდეს ამ წესდებას;

აქტიურად მონაწილეობდეს კავშირის საქმიანობაში;

იხდიდეს საწევრო შენატანებს.

4. კავშირის კრებება და სახსრები

13. კავშირი თავის ქონებას იყენებს მხოლოდ საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის.

14. კავშირის საკუთარი სახსრების წყაროებია:

კავშირის წევრთა შესასვლელი შენატანები... მანეთის ოდენობით;

კავშირის წევრთა ყოველწლიური საწევრო შენატანები... მანეთის ოდენობით;

სხვა შემოსულობანი.

15. საწევრო შენატანები გადაიხდება ყოველწლიურად, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 მარტისა.

იმ შემთხვევაში, თუ უარს ეტყვიან კავშირში მიღებაზე, შესასვლელი და საწევრო შენატანები უბრუნდება ერთი თვის ვადაში.

კავშირიდან გამოსვლის დროს შესასვლელი და საწევრო შენატანები არ ბრუნდება.

16. კავშირის სახსრები გამოიყენება შემდეგი მიმართულებებით:

აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი აპარატის შესანახად;

კოოპერაციული აქტივის პრემირებისათვის;

წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

კავშირის მიერ შექმნილი ფონდებისა და მათი გამოყენების წესის ნუსხას განსაზღვრავს წარმომენელი და მომსახურების სფეროში მოქმედი კოოპერატივთა ყრილობა.

17. კავშირი აღრიცხვასა და ანგარიშგებას აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის იმ წესით, რომელსაც კოოპერატივთა ყრილობა განსაზღვრავს.

5. მმართველობის ორგანოები

18. კავშირის მმართველობის უმაღლესი ორგანოა კავშირის წევრთა სრულფლებიანი წარმომადგენლების (დელეგატების) ყრილობა.

19. ყრილობა:

ამტკიცებს კავშირის წესდებას, შეაქვს მასში დამატებები და ცვლილებები;

განსაზღვრავს კავშირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, კავშირის სახსრებისა და ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების წესს;

ირჩევს კავშირის პრეზიდიუმს (განსაზღვრავს მის რიცხობრივ შემადგენლობას), სარევიზიო კომისიას, კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის კანდიდატებს;

ისმენს და ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

იღებს გადაწყვეტილებას კავშირის ლიკვიდაციის შესახებ;

წყვეტს ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.

20. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა სულ ცოტა ნახევარი.

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ იქნება ყრილობის დამსწრე დელეგატთა სულ ცოტა ნახევრის გადაწყვეტილებით; ღია ან ფარული ენენსურით.

21. ყრილობას იწვევენ სულ ცოტა ერთხელ მაინც ორ წელიწადში. რიგგარეშე ყრილობები შეიძლება გაიმართოს კავშირის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის, ან კავშირის პრეზიდიუმის ან სარევიზიო კომისიის შემადგენლობის ნახევრის მოთხოვნით.

22. დელეგატებს ყრილობაზე ირჩევენ კოოპერატივთა რესპუბლიკური ტერიტორიული ან დარგობრივი საკავშირო კავშირების ყრილობებსა და კონფერენციებზე.

23. წარმომადგენლობის ნორმებს, ყრილობის განსახილველი საკითხებს განსაზღვრავენ კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის, კავშირის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის კანდიდატებს;

ისმენს და ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

იღებს გადაწყვეტილებას კავშირის ლიკვიდაციის შესახებ;

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევს კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს, კავშირის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის რევიზიას;

მეთოდიკურ დახმარებას უწევს მუშაობაში კავშირის წევრთა სარევიზიო კომისიებს.

29. კავშირის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ, თუ მათ ხმა მისცა სხდომის დამსწრე წევრთა 50 პროცენტზე მეტმა.

30. კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აწყობს სსრ კავშირის კოოპერატივის ყრილობებისა და კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას, კავშირის ყრილობისა და მისი პრეზიდიუმის ნებართვით ანგარიშობს მათ წინაშე;

ადგენს, ამტკიცებს, ანაწილებს ფონდებიდან მოსახლეობისადმი მომსახურებისა და ცხოვრებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის,

დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე

დემოკრატიული ისტორიული შეფასებისათვის

ლირსსახსოვარი მოვლენა

1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის ცხოვრებაში მოხდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა. განხორციელდა ის, რაზეც ოცნებობდა, რისთვისაც იბრძოდა და სისხლს ღვრიდა ქართველი ერი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს ისტორიული მოვლენა დაემთხვა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ძლიერი აღმავლობის ზრდასა და ამიერკავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ისტორიული მოვლენა ეროვნული ლაშქრობის შედეგად შექმნილ დიდ კრიზისს.

საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებას წინ უძღოდა მრავალი ისეთი მოვლენა, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან მოითხოვდა ამ ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელების დაჩქარებას. მრავალთაგან ამის ერთ-ერთი მთავარი მიზები იყო რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიასთან ბრესტის ზავის დადება, რომელიც ლენინის სიტყვებით, რომ ვთქვათ, იყო „არქმიმიმე", „უაღრესად უხამსი", „ბედუკუღმართი".

მაგრამ ბრესტის ზავი ასეთი იყო არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის. თუ მეტი არა, იგი ასეთივე „არქმიმიმე" და „უაღრესად უხამსი" იყო ამიერკავკასიისათვისაც, განსაკუთრებით კი საქართველოსა და სომხეთისათვის. საქმე ის იყო, რომ ზავის პირობები ითვალისწინებდა გერმანიის მოკავშირე თურქეთისათვის ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოლქების გადაცემას.

ცხადია, ეს იყო უაღრესად მტკივნეული არა მარტო ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიებისათვის, არამედ მხარის მშრომელებისათვისაც. გაუგებარი იყო იგი იმის გამოც, რომ ბრესტის ზავის დადების დროისთვის ამიერკავკასიის ფაქტიურად უკვე ჰქონდა დამოუკიდებლობა და ჰყავდა თავისი მთავრობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, 1917 წლის 14 ნოემბერს. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატმა, შემდეგ კი 1918 წლის 10 თებერვლიდან ამიერკავკასიის სეიმმა და მის მიერ ამიერკავკასიის კომისარიატის ნაცვლად შექმნილმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უარი სთქვეს ბრესტის ზავის იმ ნაწილის მიღებაზე, რომელიც ითვალისწინებდა არდაგანის, ყარსისა და ბათუმის გადაცემას თურქეთისათვის.

ბრესტის ზავისადმი ამიერკავკასიის სეიმის უარყოფითმა დამოკიდებულებამ, არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, სავსებით კანონიერმა, დიდი პროტესტი გამოიწვია არა მარტო თურქეთის მთავრობის მხრივ, არამედ რუსეთის საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის მხრივაც, რომელმაც სპეციალური ნოტით განაცხადა რომ, „... რუსეთს სრულებით არა აქვს განზრახული სცნოს ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მთავრობა".

თურქეთის მთავრობა კი იმუქრებოდა. იგი გადაჭრით მოითხოვდა ამიერკავკასიის სეიმისაგან, რომ იეცნო ბრესტის ზავი და გამოეცხადებინა რუსეთისაგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

ამიერკავკასიის სეიმმა ყველაფერი გააკეთა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. გაიგზავნა დელეგაცია თურქეთთან საზავო მოლაპარაკებისათვის. მაგრამ დელეგაცია ვერაფერს გახდა. მუსავატური პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც შედიოდნენ დელეგაციის შემადგენლობაში, მოლაპარაკების პირველ დღესვე დაიკავეს აშკარად გმაცქერი პოზიცია. ისინი უსტაყვოდ ემორჩილებოდნენ თურქეთის დელეგაციის ყოველ ულტიმატურ მოთხოვნას. ამავე დროს ისინი დელეგაციის დანარჩენი წევრებისაგანაც მოითხოვდნენ, რომ დამორჩილებოდნენ თურქეთის დელეგაციის დიქტატს. წინაღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდნენ ისინი, გამოვალთ ამიერკავკასიის შემადგენლობიდან და გამოვაცხადებთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასო.

სამშვიდობო მოლაპარაკების მიმდინარეობის დროს თურქეთის დელეგაციამ მიიღო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მცხოვრები მუსულმანების დელეგაციის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ზოგიერთი ტერიტორიის თურქეთისათვის შეერთებას.

აი ზოგიერთი ადგილი ამ დოკუმენტიდან: „ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორია ძალდატანებით იქნა მოწყვეტილი თურქეთს", „მაზრების მუსლიმანური მოსახლეობას, რომლის უმრავლესობა თურქული წარმოშობისაა, არასოდეს არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი თურქეთთან", „სომხებისა და ქართველების ყარჩაღური თავდასხმების შედეგად მუსულმანური მოსახლეობა გაჩანაგებულია. მათ ემუქრება სრული განადგურება". „საქართველოს შემადგენლობაში მათი დატოვება საშიშროებას უქმნის არა მარტო მათს კავშირს თურქეთთან, არამედ მათს ენასაც და რელიგიასაც".

დოკუმენტის ბოლოს ნათქვამია: „აღნიშნულ მაზრებში მუსულმანების სრული განადგურებისაგან ხსნის მიზნით ეთხოვოს თურქეთის მთავრობას, რომ შეიერთოს სამშვიდობო ხელშეკრულებით ახალციხის მაზრა მთლიანად და ახალქალაქის მაზრის ნაწილი". ამ დოკუმენტს ხელს აწერდა 40 კაცი.

ხოლო როცა საქართველოსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო, ახალციხისა და ახალქალაქის მუსულმანურმა მოსახლეობამ არამც თუ მხარი დაუჭირა საქართველოს თურქეთის წინააღმდეგ ომში, არამედ პირიქით, ორიენტაცია აიღო თურქეთისაკენ. მუსლიმანობა ებრძოდა ფრონტზე მიმავალ საქართველოს ჯარებს, აგვიანებდა რკინიგზებს, აფეთქებდა ხიდებს და ა. შ.

სამშვიდობო დელეგაციის მონაწილე მუსავატელების გამცემლურმა პოზიციამ, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების მუსულმანური მოსახლეობის მიერ თურქეთის დელეგაციის სახელზე ანტიქართული და ანტისომხური ხასიათის დოკუმენტის გაგზავნამ საგრძნობლად განუმტკიცა პოზიცია თურქეთის დელეგაციის თავზე.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციას თურქეთის დელეგაციამ წაუყენა დაკინებითი მოთხოვნა, რომ იეცნო რუსეთის საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის დადებული ბრესტის ზავის ფარგლებში. კერძოდ, მოითხოვა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრე — ყარსი, არდაგანი და საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საზღვარი ნავსადგური ბათუმი, ამ ოლქების დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

ამიერკავკასიის სეიმი წავიდა გარკვეულ დათმობაზე, მაგრამ ბათუმის შესახებ თურქეთის მოთხოვნა უარყოფილ იქნა. ამის გამო სამშვიდობო მოლაპარაკება თურქეთთან შეწყვიტილ იქნა, სეიმმა გამოიწვია თავისი დელეგაცია და გადაწყვიტა საქართველოს ღირსების დაცვა იარაღის გამოყენებით. დაიწყო ომი.

ამიერკავკასიამ უფრო ზუსტად, საქართველომ, რომელსაც ომის მთელი სიმძიმე დააწვა, ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია თურქეთის არმიისათვის. რამდენიმე დღის განმავლობაში თურქეთის არმიამ დაიპყრო არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე, ახალქალაქი და ბორჯომის ხეობით გეზი აიღო თბილისისაკენ.

სეიმი იძულებული გახდა წინადადება მიეცა ამიერკავკასიის მთავრობისათვის რომ გაუფხლეჩინა სამშვიდობო მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან და მიეღო საპირო ზომები ზავის დაუყოვნებლივ დაღებისათვის. ამავე დროს სეიმმა დაავალა მთავრობას, რომ „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით შეექმნა ბრძოლისუნარიანი, დისციპლინირებული არმია". სეიმის მითითების საფუძველზე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩხენკელმა თურქეთის მთავრობას დეპეშით აცნობა, რომ „ამიერკავკასიის მთავრობა აღიარებს ბრესტის ზავს" და მზადაა დაუყოვნებლივ გაგზავნოს დელეგაცია საზავო მოლაპარაკების გასაბლელად". ამასთან ჩხენკელი თხოვნით მიმართავდა თურქეთის მთავრობას, რომ გაეცა განკარგულება თავისი ჯარისათვის საომარი ოპერაციების შეწყვეტის შესახებ. იგი პირდებოდა თურქეთის მთავრობას, რომ ანალოგიური განკარგულება გაიცემოდა თურქეთის ჯარის პირისპირ მდგომი ამიერკავკასიის ჯარებისადმი. მართლაც, ასეთი განკარგულება ამიერკავკასიის მთავრობამ იმავე დღესვე გასცა.

მაგრამ თურქეთი მიღწეულით ოდენ კმაყოფილებოდა. მისი მტაცებლური მადა კიდევ უფრო ღვივდებოდა. თურქეთი მიკიბულ-მოკიბულად პასუხობდა ამიერკავკასიის მთავრობის წინადადებას მოლაპარაკების განახლების შესახებ. თურქეთის არმია კვლავ მოიწევდა მხარის სიღრმისაკენ, იპყრობდა ახალ-ახალ ტერიტორიებს. თავის გზაზე თურქეთის არმია ყველაფერს ანადგურებდა, მხეცურად უსწორდებოდა მშვიდობიან მოსახლეობას. მტერი ემუქრებოდა თბილისსა და ქუთაისს. გუბერნიებს, თითქმის 60 კილომეტრზე მიუახლოვდა თბილისს.

საქართველოს მდგომარეობა აღმოჩნდა უაღრესად მძიმე, მისი არსებობის ბედი თითქმის სასწორზე დაიდო.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ამ მძიმე დღეებში, 14 აპრილს თხოვნით მიმართეს რუსეთის საზოგადოებრიობას, რომ დახმარება აღმოეჩინათ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოწოდებაში ნათქვამია: „ამხანაგებო, რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! დიდი საფრთხე მოელის ამიერკავკასიას და ამ დროს თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ჩვენ, დიდ რევოლუციონურ ბრძოლით ჩვენო ძმებო!

ჩვენ ვიბრძოდით თქვენთან ერთად 1905 წლის ბარიკადებზე, თქვენთან ერთად ვიბრძოდით ცარიზმს, ჩვენ ერთად ვიტანჯებოდით ციხეებში, კატორღაში, გადასახლებებში. საერთო სიბარუნი გვქონდა ჩვენ რევოლუციის გამარჯვების დღეებში, საერთო მწუხარება მისი დამარცხების დღეებში, საერთო იმედები გვინათებდა ჩვენ გზას წინ.

გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას, რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო და ერთად დავიცავთ ჩვენ მტრისგან რუსეთის დიდი რევოლუციისა და თავისუფლების წითელ დროშას".

მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ არ გაისმა დახმარების ხმა რუსეთიდან. ამიერკავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს მდგომარეობას ამძიმებდა გლეხთა განუწყვეტელი შეიარაღებული გამოსვლები.

ვფიქრობთ, ქართველი ბოლშევიკების უდავო შეცდომა იყო ის, რომ მათ არ ისურვეს მეწმენეველი რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ძირითადად შედგენილ იქნა მენშევიკებისაგან.

რუსეთის მთავრობის შედგენის შემდეგ მისმა თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ დეპეშები გაუგზავნა მსოფლიოს 18-მდე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ იმ დღესვე აღიარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დროშა.

ასე დაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და შედგენილ იქნა მისი მთავრობა. ამ დღიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია გადაიქცა მმართველ პარტიად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პარტიად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე უუფლებო, კოლონიური მდგომარეობაში მყოფმა საქართველომ 26 მაისის ისტორიული აქტით აღადგინა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ამ დღიდან ქართველი ერი გახდა თავისი სახლის ფაქტიური ბატონ-პატრონი, თვითონ წარმართავდა თავის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ ახალი შინაგანი ძალა, შემოქმედებითი ენერგია შემატა ქართველ ერს.

ცხადია, ამიტომ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ქართველი ერისათვის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა ეპოქალური მნიშვნელობის მონაპოვარს.

შემდეგ, ქართველი ხალხი თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, დიდი ხნის წინათ გარესამყაროს მოწყვეტილი საქართველო მალე ამყარებს კავშირურთიერთობას მსოფლიოს თითქმის ყველა მთავარ სახელმწიფოსთან. კვლავ აღსდგა ევროპის სახელმწიფოების თვალში ფეთქმის სრულიად მივიწყებული, დიდი ხნის განმავლობაში ცარისტული რუსეთის ერთ-ერთ კოლონიურ კუთხედ ქცეული საქართველოს სახელი, მისი ავტორიტეტი. საქართველოს დაახლოებით ევროპის ოცამდე სახელმწიფოსთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის წინადადებით ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ. მართალია, ზოგ მათგანს, ვინც ურთიერთობა დაამყარა იმ პერიოდის საქართველოსთან, ჰქონდა თავისი მიზანი — გამოეყენებინათ იგი, როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი, ან კიდევ, გადაექცია საქართველო, როგორც ნედლეულის ბაზა, ან კიდევ გასაღების ბაზარი. მაგრამ ცხადი იყო, რომ საქართველო იკავებდა ერთ-ერთ სასატიო ადგილს ევროპის სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამ ასევე მალე მიიპყრო II ინტერნაციონალის ყურადღებაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1920 წლის დამლევს საქართველოს ესტუმრა II ინტერნაციონალის თითქმის ყველა ლიდერი კარლ კაუცკის მეთაურობით. საქართველოს მიმართ მათი ასეთი განსაკუთრებული ყურადღება შემთხვევითი არ იყო. მსოფლიოს უაღლეს ისტორიაში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომლის მთავრობის „თავეში აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქვეყანა, სადაც პირველად პოება თავისი პრაქტიკული ხორცშესხმა მეორე ინტერნაციონალის იდეებმა. სწორედ ამიტომ იყო, რომ II ინტერნაციონალის ლიდერებს მენშევიკების პარტია მიაჩნდათ თავიანთ საიმედო მოკავშირედ, თავიანთი იდეების განმახორციელებლად.

და ბოლოს, ვფიქრობთ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და 1918 წლის 27 და 28 მაისს სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა რომ არა, შედარებით იოლი იქნებოდა, „ავტონომიზაციის" პროექტის ავტორისა და მისი ფაქტიური თანაავტორებისათვის ამ სუვერენულ სახელმწიფოთა უფლებების ძირეული შეზღუდვა და ავტონომიის უფლებით მათი შეერთება საბჭოთა რუსეთთან.

ასე რომ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა, რაც არ იყო შემთხვევითი, რომელიმე პარტიის ან პიროვნების სურვილებთან განპირობებული. იგი განპირობებული იყო ცარიზმის დამხობით, განსაკუთრებით კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით. [illegible] იმის რადგან ეგზისტენციალურ [illegible] [illegible] [illegible]

კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ

(დასასრული)

კავშირის მშვიდობის ფონდში, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდში, საბჭოთა კავშირის გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში, მოწყალებისა და ჯანმრთელობის საქართველოს ფონდში, საქართველოს ძეგლთა დაცვის ფონდში, 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულთა მემორიალის აგების ფონდში, სხვა ანალოგიურ ფონდებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა საქველმოქმედო ფონდებში.

2. კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები განისაზღვროს კოოპერატივების საქმიანობის სახეების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

კოოპერატივების საქმიანობის სახეები	კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოდენობა (პროცენტებში დასაბეგრი შემოსავლის მიმართ)
I. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება:	
სამკერვალო ნაწარმის	38
ფეხსაცმლის	24
ტრიკოტაჟის ნაწარმის	39
გალანტერიის	29
იაფფასიანი სამკაულების (ბიჟუტერიის)	31
დახარჩენი	25
II. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება:	
მოსახლეობის ავტომანქანებით მომსახურება:	
— პირადი საკუთრების მანქანებით	თვეში 200 მან.
მგზავრის გადაყვანა	თვითეულ მძღოლზე
— დანარჩენი მომსახურება	22
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება	32
ქიმწმენდა, რეცხვა და ღებვა	22
ავტომანქანებისა და სხვა სახის ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	24
ავეჯის დამზადება და შეკეთება	23
დანარჩენი	25
III. მეორეული რესურსებისა და ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება:	
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება	15
მეორეული რესურსების შეგროვება	15
მეორეული რესურსების გადამუშავება	30
IV. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ობიექტებისა და ბინების მშენებლობა და შეკეთება:	
საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და შეკეთება	31
ბინების მშენებლობა და შეკეთება	29
სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება	26
V. საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-საძიებო, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების შესრულება, დიზაინისა და სამხატვრო-არქიტექტურული, გამოთვლითი და კომპიუტერულ სამუშაოთა დაპროექტება:	
საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-საძიებო სამუშაოთა შესრულება	39
დიზაინისა და სამხატვრო-არქიტექტურულ სამუშაოთა დაპროექტება	40
ინფორმატიკის, გამოთვლითი და კომპიუტერული სამუშაოების პროგრამირების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების შესრულება	15
VI. სამკურნალო-სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამედიცინო და კულტურული დასვენების დონისძიებათა ორგანიზაცია:	
სამკურნალო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია	9
კულტურული დასვენების ორგანიზაცია	5
VII. სამართლებრივი მომსახურებისა და კონსულტაციის გაწევა:	
სამართლებრივი მომსახურება და კონსულტაცია	19
VIII. საცალო ვაჭრობა, სავაჭრო-შემსყიდველი, საშუამავლო საქმიანობა, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია, პურ-ფუნთუშეულის წარმოება და საკონდიტრო წარმოება:	
საცალო ვაჭრობა, სავაჭრო-შემსყიდველი საქმიანობა	40
საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია	40
საშუამავლო საქმიანობა	40
პურ-ფუნთუშეულის წარმოება	40
საკონდიტრო წარმოება	40
IX. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და რეალიზაცია:	
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და მისი რეალიზაცია	10
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და რეალიზაცია	28
X. სხვა დანარჩენი საქმიანობა	30

3. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაუდიდდეთ 2-ჯერ:

— კოოპერატივებს (მათ შორის საზკვების), რომლებიც თავიანთ პროდუქციას აწარმოებენ საკოლმეურნეო ბაზარზე შესყიდული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან;

— კოოპერატივებს, რომლებსაც სამრეთეული კულტურები (ციტრუსები, ხილი, კენკროვანი, ბაღჩეული, ბოსტნეული) გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სარეალიზაციოდ უშუალოდ ან სხვა ორგანიზაციების მეშვეობით, საცალო ან საბითუმო ვაჭრობის წესით;

— კოოპერატივებს, რომლებიც პროდუქციის ამზადებენ საცალო სავაჭრო ქსელში შესყიდული საქონლის გამოყენებით;

— კოოპერატივებს, რომლებიც შექმნილი არიან საწარმოებთან და ორგანიზაციებთან და მოქმედებენ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზაზე, უშვებენ იმავე პროფილის პროდუქციას ან ეწევიან იმავე სამუშაოებსა და მომსახურებას, რაც დამახასიათებელია ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, ამასთან კოოპერატივების ფასები, ტარიფები და შესასრულებელი სამუშაოების შეფასებები აღემატება შესაბამისად საწარმოებისა და ორგანიზაციების ფასებს, ტარიფებსა და შეფასებებს.

4. კოოპერატივებს, რომლებიც თავიანთი შემოსავლის ნაწილს დამატებით მიმართავენ კოოპერატივის განვითარების ფონდში იმ ნორმატივის ფარგლებში, რასაც, თან დაუწესებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, საშემოსავლო გადასახადში მიეცემათ შეღავათი აღნიშნულ ფონდში ნორმატივის ფარგლებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხის მხოლოდ ორი პროცენტით დაბეგვრის გზით. ამ ფონდში ჩარიცხული სხვა თანხა გადასახადით დაიბეგრება საერთო წესით.

წარმოების განვითარების ფონდის ნორმატივს პროცენტულად დასაბეგრი შემოსავლის მიმართ აწესებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, რომელმაც კოოპერატივი რეგისტრაციაში გაატარა. კოოპერატივის განვითარების ფონდში შეღავათით დამატებითი თანხების ჩარიცხვა შეიძლება გაგრძელდეს 2 წლის განმავლობაში, დაწყებული პირველი შეღავათის მინიჭებიდან, მაგრამ ამ თანხის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის დასაბეგრი წლიური შემოსავლის წინა ან მიმდინარე წლის მოსალოდნელ ოდენობას.

შეღავათით დაბეგრილი კოოპერატივის განვითარების ფონდი უნდა დაიხარჯოს მხოლოდ მიზნობრივად. თუ აღნიშნული თანხა გადანაწილდება სხვა ფონდებში ან გამოიყენება სხვა დანიშნულებით, არადანიშნულებით გამოყენებული თანხა გადასახადით დაიბეგრება ათი პროცენტით გადიდებული იმ განაკვეთით, რომლითაც კოოპერატივი იბეგრება საერთოდ.

5. სოფლად მდებარე კოოპერატივებს, გარდა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მიმდებარე სოფლებისა, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეუმცირდებათ ათი პროცენტით, ხოლო დაშორებულ ან მთიან სოფლებში განლაგებულ კოოპერატივებს — ოცი პროცენტით. ქალაქებისა და რაიონების მიმდებარე, აგრეთვე დაძორებული და მთიანი სოფლების ნუსხას ამტკიცებენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

6. კოოპერატივებს, რომლებიც აწარმოებენ ეროვნულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თავსაბურავებს, მუსიკალურ საკრავებს, საოჯახო და სხვა საყოფაცხოვრებო ეროვნულ- ტრადიციულ და ხალხური რეწვის ნაწარმს, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დაუწესდეთ ორი პროცენტი.

7. კოოპერატივები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ (მუსიკის, ცეკვის, აგრეთვე დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საგნების დაუფლება) აღზრდას, საძიდაცინო და სხვა სახის მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, მოხუცებს, ავადმყოფებს, მცირე ასაკის ბავშვებს, უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების (ქუჩები, ბოულნები, მოსაცდელები, პარკები, გზები, საცხოვრებელი და სხვა სადგომები — სადარბაზოები, დერეფნები, კიბეები, ტუალეტები), დასუფთავებასა და ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში შენახვას, ასრულებენ გარემოს (მინდვრები, ნეკვები, ტბები და სხვ.) ეკოლოგიური დაბინძურებისაგან გაწმენდის სამუშაოებს, საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრებიან შეღავათიანი განაკვეთით— ორი პროცენტით, თუ ამ მომსახურება ფასები და ტარიფები არ აღემატება სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებულ ფასებსა და ტარიფებს.

თუ კოოპერატივები სარგებლობენ ფასებითა და ტარიფებით, რომლებიც აღემატება წინა აბზაცში აღნიშნულ ფასებსა და ტარიფებს, ამასთან მათზე არ ვრცელდება ფაფარდევეთ თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის არსებული წესი, მათ საშემოსავლო გადასახადი გაუდიდდებათ ფასებისა და ტარიფების გადაჭარბების პროცენტის შესაბამისად. გადასახადის განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაბეგრი შემოსავლის ოთხმოცი პროცენტს.

8. სახოგადოებრივი კვებისა და სასურსათო პროდუქტების მწარმოებელ კოოპერატივებს, რომლებიც ახორციელებენ ამ საქმიანობას ეწევიან, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები შეუმცირდებათ საერთო საკონსოლიდაციო საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომზადებული პროდუქციის ხვედრითი წილის პროცენტის შესაბამისად.

9. კოოპერატივებს, რომლებიც მოსახლეობისაგან მიიღებენ უშუალოდ მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობის ბაკვეთებში, საკარიდამო და მოსახლეობის მფლობელობაში არსებულ ეზოებსა და სასოფლო-სამეურნეო საკარგულებში მოწეული ხილისკენკრის, ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და მემცენარეობის სხვა პროდუქციასა და მეცხოველეობის პროდუქტებს (თუ დამზადების აღნიშნული წესი ერთადერთია ამ კოოპერატივისათვის) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაუნახევრდებათ.

10. კოოპერატივებს, რომლებიც მოსახლეობაში დაამზადებენ საყოფაცხოვრებო, საოჯახო და პირადი სარეწებისა და საკარიმდამო ძეურნეობის ნარჩენებსა და მეორეულ ნედლეულს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული ნუსხის შიხედვით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაუნახევრდებათ, ხოლო თუ ამ პროდუქციას ჩაბარებენ სათანადო დამამზადებელ ორგანიზაციებს, ან სახელმწიფო საწარმოებს დაწესებულ საპრეისკურანტო ფასებში — აღნიშნული ნარჩენებისა და ძეს პროდუქციისა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით საბოლოოდ ათი პროცენტით შემცირებული განაკვეთით.

11. კოოპერატივებს, რომლებიც პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენებენ სამეურნეო და სხვა საწარმოების ნარჩენებსა და მეორეულ ნედლეულს, რომელსაც თვითონ არ გადაამუშავებენ, ან რეალიზაციას არ უკეთებენ. ამასთან, თუ ასეთი ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქციის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე სოფლადნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციისა, შესაბამისი შემოსავლების დასაბეგრად გადასახადის განაკვეთი გაუნახევრდებათ.

12. კოოპერატივებს, რომლებიც თავიანთი პროდუქციის რეალიზაციასა და მომსახურებას ეწევიან სახელმწიფო ფასებით, ტარიფებითა და შეფასებებით, გადასახადის განაკვეთი შეუმცირდებათ ხუთი პროცენტით და დამატებით იმდენი პროცენტით, რამდენითაც დაბალია კოოპერატივის მიერ რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების ფასები, ტარიფები და შეფასებები, სახელმწიფო ფასებსა, ტარიფებსა და შეფასებებზე.

კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაიზრდება იმდენი პროცენტით, რამდენითაც კოოპერატივი გაზრდის თავისი პროდუქციისა და მომსახურების ფასებს, ტარიფებსა და შეფასებებს სახელმწიფო ფასებთან, ტარიფებთან და შეფასებებთან შედარებით. ეს ზომა გამოიყენება, იმ შემთხვევაში, თუ ფასების ასეთი გადიდებით მიღებული თანხა არ ეკვივალენტურია სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა ფასების კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით.

13. კოოპერატივებს, რომლებიც თავიანთ შემადგენლობაში. აგრეთვე სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად შექმნიან სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა შემოქმედებით კოლექტივებს საძიებო და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის სამუშაოთა ჩასატარებლად, აიცვე კოოპერატივებს, რომლებიც აითვისებენ მაღალი ხარისხის ახალ პროდუქციას, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით შეიძლება შეუმცირდეთ გადასახადის განაკვეთი 40 პროცენტამდე ოდენობით.

14. კოოპერატივებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში მონაწილეობისათვის მოიწვევენ პენსიონერებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, ინვალიდებს ან დასახლისებს — შრომის საერთო ანაზღაურების ფონდის საერთო რაოდენობაში მათი ხელფასის ხვედრითი წილის ყოველ 1 პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეუმცირდებათ 0,2 პროცენტით, ხოლო სამამულო ომის ინვალიდების, შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდების, ავღანეთში ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს დაინვალიდებული პირების მოწვევისას შესაბამისად მათი ხელფასის ხვედრითი წილის 0,6 პროცენტით.

15. კოოპერატივებს, რომლებიც საკუთარი წარმოების ან შესყიდული სასურსათო და არასასურსათო პროდუქციას გაყიდიან რეალუბლიკის გარეთ უშუალოდ ან სხვა ორგანიზაციების მეშვეობით, საცალო ან საბითუმო გაყიდვის წესით, მათ შორის, სამრეწველო ობობარებისა და სამრეწველო გადამუშავების დანიშნულებით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაუდიდდებათ ოცდათ ოროცენტამდე ოდენობით. გადასახადის განაკვეთის გადიდების კოხკრეტულ ნორმასა და მისი გამოყენების ვადას აწესებს ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივი.

16. კოოპერატივებს, რომლებშიც 'ამუშაოებს ძირითადად ასრულებენ მოწვეული პირები, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეიძლება გაუდიდდეთ 10 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულ საკითხს კოოპერატივების მუშაობის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე წყვეტს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

17. დაწესდეს, რომ კოოპერატივებისათვის შეღავათების მინიჭებისას საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები, ხოლო გადასახადის გადიდების შემთხვევაში — არ უნდა აღემატებოდეს 80 პროცენტს.

18. „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 23 თებერვლის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, ნება დაერთოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი პირობებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, სტიმულირების მიზნით, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათებისა, ცალკეულ კოოპერატივებს გარკვეული ვადით მიანიჭონ საშემოსავლო გადასახადის შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნულ მუხლში.

19. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული განაკვეთი, შეღავათები და დანამატები კოოპერატივებში მიღებულ შემოსავლების მიმართ ძალაშია 1991 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, რომლებიც ძალაში შევა 1991 წლის 1 იანვრიდან.

20. ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1989 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში

მოსკოვი, 24 მაისი (საქინფორმის სპეც. კორ.). გაიმართა სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელშაც განიხილა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მიმართვა თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გამო. მიმართვის ტექსტი, რომელშიც მკაცრად არის დაგმობილი 9 აპრილს მშვიდობიანი მანიფესტაციის სამხედრო ძალით დარბევა, სხდომის მონაწილეებს გაეცნო საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ქალაქ თბილისში 9 აპრილს მოხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა ა. ალექსიძემ. განხილვაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ო. რეუტოვი, პოეტი ე. დოლმატოვსკი. ჟურნალ „იუნოსტის“ რედაქტორი ა. დემენტიევი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოში საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი ვ. ორიოლი, ახალი ამბების საგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი ვ. სედიხი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, საქართველოს მშვიდობის დაცვის ოესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. რჩეულიშვილი და სხვები.

სხდომაზე მიღებულ დადგენილება, რომელშიც მთლიანად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პოზიციას მანიფესტაციის სასტიკი დარბევის, მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის, როგორც ანტიჰუმანური, დანაშაულებრივი აქციის, შეფასებაში.

ბიუროს დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებმა, რომლებიც არჩეული არიან საბჭოთა სამშვიდობო ორგანიზაციებისაგან, იხელმძღვანელონ აღნიშნული შეფასებით ყრილობაზე 9 აპრილის ტრაგიკული ამბების საკითხის განხილვისას.

ბიუროს მიერ მიღებული დადგენილებისა და საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მიმართვის ტექსტი ეგზავნება საბჭოთა კავშირის ყველა სამშვიდობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ქვეყნდება სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ბეჭდვითს ორგანოში „ვეკ XX ი მირ“, რომელიც 6 ენაზე გამოდის და მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

24 მაისი

უცხოეთში

საკვლევი იუწყება

◆ **მაროკო**

პირველად ათი წლის შემდეგ

კასაბლანკა. აქ გაიხსნა არაბული სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა საგანგებო თათბირი.

ამ შეხვედრაზე, რომელიც მოეწყო მაროკოს მეფის ჰასან მეორის ინიციატივით, არაბული სამყაროს ხელმძღვანელები განიხილავენ პალესტინის პრობლემას თანამედროვე ეტაპზე და ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე პალესტინელი ხალხის აჯანყებისადმი მხარდაჭერის საკითხებს, რომელიც წელიწადნახევარია გრძელდება. აგრეთვე არაბეთ-ისრაელის კონფლიქტს, ლიბანის კრიზისს, დამოკიდებულებას ერაყსა და ირანს შორის, სხვა აქტუალურ პრობლემებს, მათ შორის საერთო არაბული კლიმატის გაჯანსაღებისა და მთელ რიგ არაბულ ქვეყნებს შორის არსებულ უთანხმოებათა აღმოფხვრის გზებს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ფორუმი ყველაზე წარმომადგენლობითია უკანასკნელ წლებში. მასში პირველად ათი წლის მანძილზე მონაწილეობს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი.

როგორც ცნობილია, ყოფილი პრეზიდენტის სადათის მიერ კემპ-დევიდის სეპარატულ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, შეჩერდა ეგვიპტის წევრობა არაბული ქვეყნების ლიგაში.

◆ **ირანი**

თეირანის რადიოს ცნობა

თეირანი. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელს აიათოლა რუჰოლა მუსავი ჰომეინის გაუკეთეს ოპერაცია, იუწყება იმამ ჰომეინის კანცელარია. თეირანის რადიოთი გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ოპერაცია გაუკეთეს კუჭის ორგანოებში სისხლის დენასთან და იმამის ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი შემდგომი კონტროლის მიზნით. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. იმამ ჰომეინის ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ხუთ ბერულავა

დუმილის ფუთეები

19 მაისი, 1989.

უცებ აენთო ყველა სანთელი,
უმალ გარინდდა ყველა ქართველი,

ყველა სხვა მკვიდრიც ქართული მიწის,
ვინც ერთგულია ძმობის და ფიცის;

დედასამშობლო წამოდგა ზეზე,
რომ გაეგონა დუმილი ესე,

დუმილი — ერის უსიტყვო კვნესა,
სიმწრით რომ ამსხვრევს ქვასაც და კლდესაც.

დუმილი — ხსოვნა მარადი, წმინდა,
საქართველოზე მლოცველთა შვილთა,

რომელთა სისხლიც ქრილობად ახის
რუსთველის გამზირს, რუსთველის გამზირს,

რუსთველის გამზირს ... ...ებს ჩვენსას,
დღეს მეორმოიას და ხვალის დღესაც.

ის ხუთი ... ... ის ხუთი ...
ყველაზ შრძულეს შიაგეს კუთვნილს.

ის ხუთი ნუთიც დარჩება ჩვენთან.
და ვიფლით ერთად, სულ ვიფლით ერთად,

რომ საქართველო ენთოს მზესავით,
სიკეთისა და სიბრძნის მთესავი.

23 მაისი, 1989.

გაქვავებული ცრემლი

მეგობარს ჭირში შეიცნობ. რამდენჯერ დარწმუნებულა ამაში სომხეთისა და საქართველოს ორი მომძე ხალხი.

ძმობისა და სიყვარულის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული თბილისში, ეჩმიაძინის ეკლესიასთან გამართული მშრომელთა მიტინგი. იგი მიეძღვნა ქართველი ხალხისათვის ხაჩქარის — ქვის ჯვრის საჩუქრად გადაცემას, რომელიც სომეხმა ქვის მთლელებმა შეასრულეს 9 აპრილის ტრაგედიის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნად.

...საღამოს ექვსი საათია. ეკლესიის გვერდით მდებარე სკვერი ხალხით არის სავსე. აქ მოვიდნენ ახლომდებარე რაიონების მცხოვრებლები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგის გახსნისას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვახტანგ ბერაძემ თქვა:

— ხაჩქარებს ოდითგანვე დგამენ სომხეთში, როცა აღნიშნავენ ამა თუ იმ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში. ეს არის თავისებური სიმბოლო, რომელიც ადამიანს სტიქიური უბედურებისაგან, გაჭირვებისაგან იცავს. ხაჩქარი, რომელიც დღეს გადმოგვეცემა, განასახიერებს სომეხთა ღრმა მწუხარებას უდანაშაულოდ დაღუპულ ქართველთა გამო, ჩვენდამი ძმურ მზარდაჭერას მძიმე ჟამს.

გაისმის ზარების რეკვა. ხაჩქარს ნელა სცილდება თეთრი საბურველი. ვარდისფერი ქვით ნაკეთი ჯვარი გამოსახავს ორ ერთმანეთისადმი გაწვდილ ჯვარს, რომელთა შორის არის მთავარი — დიდი ჯვარი. ხაჩქარის კვარცხლბეკს ეროვნულ ქართულ და სომხურ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები ყვავილებით ამკობენ.

გაისმის ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი ძმობაზე. ქართულს ცვლის სომხური.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან მწერალი ბენიკ სეირანიანი, ხაჩქარის ავტორი, მოქანდაკე არუთინ მარტიროსიანი, მღვდელმსახური ვახტანგ ასათიანი. მათი სიტყვები გამსჭვალულია გულითადობითა და სიყვარულით, მოწოდებებით კვლავაც ერთად იაროს ორმა ხალხმა.

თბილისელთა სახელით იღებენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წერილს სომხეთის მშრომელებისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენთვის ესოდენ მძიმე დღეებში გვნუზოშელია ქართველთა სულის ზეიმი, რომელიც სომეხი ხალხის მიერ ქვაში გამოკვეთილი ძმობითა და ერთგულებით გამოიხატა.

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ხალხის მწუხარების ასე საქმეყნოდ გაცხადებისათვის.

ადვილია ჭირის გადატანა, როცა გვერდით ისეთი ძმა გყავს, როგორიც სომეხია.

ეს წმინდა ძეგლი დაიდგა ჩვენი ქალაქის ძველი უბნის ცენტრალური მოედნის სკვერში“.

სურათზე: მეგობრობის მიტინგი.

საქინფორმის ფოტო.

შიო მღვიმელის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს მწერალთა კავშირის ეიურის გადაწყვეტილებით, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის შიო მღვიმელის სახელობის პრემია მიენიჭათ ცნობილ მწერლებს **მერი ბოლქვაძეს, კლავდია დევდარიანს და გიორგი წერეთელს.**

კლავდია დევდარიანის მოთხრობა „აღარ დაბრუნდა“ 1934 წელს გამოქვეყნდა, ხოლო 1940 წელს გამოიცა საბავშვო მოთხრობების პირველი წიგნი — „ნიას ქოჩორა“. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი კლავდია დევდარიანი ამჟამად „ავტორია შრავალი წიგნისა, რომელთაგან გვინდა გამოვარჩიოთ ვრცელი ნაწარმოებები — „სიჭაბუკე პოეტისა“ და „ყმაწვილკაცობა მემატიანისა“.

ჩვენი პატარების საყვარელ პოეტს გიორგი წერეთელს შარშან დაბადების 60 წელი შეუსრულდა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გიორგი წერეთელი იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვა.

მერი ბოლქვაძის მოთხრობების წიგნი „ყაყაჩოები“ 1964 წელს „ნაკადულმა“ მიაწოდა მკითხველს. მწერლის შემოქმედებითი დებიუტი ბედნიერი გამოდგა — საერთო ყურადღება დაიმსახურა. დღემდე გამოცემული აქვს 10 წიგნი, მათ შორის 2 მოსკოვში, რუსულ ენაზე. „ვის მოჰყავს გაზაფხული“ (1988), — ასე ეწოდება მერი ბოლქვაძის რჩეული მოთხრობების კრებულს.

შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატთა რიგებს სამი ღირსეული მწერალი მიეკატა.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის პროკურატურაში

როგორც წინათ ვიუწყებოდით, 1989 წლის 11 იანვარს სსრ კავშირის პროკურატურამ ქრთამის აღების ბრალდებით დააპატიმრა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი ვ. ი. სმირნოვი.

გულმოდგინე გამოძიების დროს არ დადასტურდა მისთვის წაყენებული ბრალდება. დადგენილია მისი უდანაშაულობა. მომდინარე წლის 22 მაისს საქმე ვ. ი. სმირნოვის მიმართ შეწყდა მის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო, იგი განთავისუფლებულია.

სსრ კავშირის პროკურატურა ბოდიშს უხდის ვ. ი. სმირნოვს პროკურატურის მუშაკების მიერ მის მიმართ დაშვებული სოციალისტური კანონიერების სერიოზული დარღვევებისათვის.

დაწვრილებითი ინფორმაცია გამოძიების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში.

გასწორება

„**კომუნისტის**“ 21 მაისის ნომერში დაბეჭდილ ზორი ბალაიანის წერილში „მოვალეობა“, მეოთხე სვეტის 62-ე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ისტორიკოსმა ხახანაშვილმა“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

• • •

24 მაისის ნომერში დაბეჭდილ რეპლიკაში „...ზუსტი მისამართით!“ ბოლო აბზაცის მე-4, მე-5 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „კომუნისტი“, რომელშიც 11 აპრილს მართლაც არის ლაპარაკი“.

სპორტის ამბები

სამგო

ახალი გამარჯვება

ჯემალ მჭედლიშვილის სპორტული მიღწევები კარგად არის ცნობილი ჭიდაობის მოყვარულთათვის. მან, ისევე, როგორც ბევრმა ჩვენმა ფალავანმა, სპორტში აღმასვლა ქართული ჭიდაობით დაიწყო. შემდეგ ერთხანს ძიუდოში გამოდიოდა და არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში ისახელა თავი, ამ ორი-სამი წლის წინ კი სამბოშიც მოსინჯა ძალა და ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას სწორედ აქ მიაღწია. 1987 წელს ჯემალმა ზედიზედ მოიპოვა სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები. ამის შემდეგ ერთხანს დიდ სარბიელზე არ გამოჩენილა, მაგრამ ინტენსიურად ვარჯიშობდა, და აი, ამ დღეებში ახალი გამარჯვება იზეიმა. ინგლისში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან კიდევ ერთი ოქროს მედალი ჩამოიტანა. მასთან ერთად



პირველი ადგილი დაიკავა კიდევ რვა საბჭოთა მოჭიდავემ.

სურათზე: ევროპის 1989 წლის ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი.

მარცხი საკუთარ მოედანზე

თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „სპარტაკი“ — 0:1.

გუშინ, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩი: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „სპარტაკი“. ეს გუნდები, როგორც იცით, ერთ კვირაში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სათასო მატჩში დინამოელებმა გაიმარჯვეს, გუშინ — სპარტაკელებმა — 1:0. ეს გოლი 33-ე წუთზე გაიტანა სტუმართა მცველმა კულკოვმა. თბილისელთა ყველა ცდა უშედეგო გამოდგა, მათ ვერ გამოიყენეს არაერთი ხელსაყრელი მომენტი.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიმკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 25 მაისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.55 — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტ